ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლ ე ნ ტ ე ხ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს ს ა კ რ ე ბ უ ლ ო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 97261822
თარიღი:01/07/2026

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომა N-12

დ.ლენტეხი. 25 ივნისი 2026წ.

მიმდინარე წლის 25 ივნისს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით პირველი. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 13 (ცამეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა 10(ათი) წევრი.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გაზდელიანი, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი სოზარ ბენდელიანი, მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში და საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა დაინიშნა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის 24/06/2026 წლის N-96-962617532 წინადადების საფუძველზე. მან სხდომის წევრებს გააცნო რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1.,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 აგვისტოს N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომსხ: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

2.,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 ნოემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომსხ:მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

3.,,2026 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 25 დეკემბრის N 29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს: მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი სოზარ ბენდელიანი/

1.მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ აღნიშნა, რომ მერიაში ჩატარდა რეოგანიზაცია. რეორგანიზაციის შედეგად გაერთიანდა საქმისწარმოების და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებები. შესაბამისად უნდა შევიდეს ცვლილება ადმინისტრაციული სამსახურის დებულებაში. სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების

პროექტი - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 აგვისტოს N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23-აგვისტოს N-15-დადგენილებით დამტკიცებულ ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის დებულებაში და დებულების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 2. სამსახურის სტრუქტურა.

1.სამსახური შედგება სამსახურის უფროსის -პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, ხელმძღვანელის მოადგილისა და მეორადი სტრუქტურული ერთეულებისაგან-ქვედანაყოფის- განყოფილებებისაგან(ტექსტში შემდგომ-განყოფილება) და მოხელეებისაგან.

2. სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულებია:

ა)საქმისწარმოების და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება;

ბ) ადამიანური რესურსების მართვისა და საორგანიზაციო საკითხების განყოფილება ;

გ) მერიის წარმომადგენლებთან ურთიერთობის და კოორდინაციის განყოფილება;

3. სამსახურის საქმიანობას წარმართავს სამსახურის უფროსი, რომლის უფლებამოსილებები განისაზღვრება მერიის დებულების მე-8 მუხლით და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის სამუშაოთა აღწერილობით . სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მერის ბრძანებით სამსახურის უფროსის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს სამსახურის უფროსის მოადგილე მისი არყოფნის შემთხვევაში ერთ-ერთი განყოფილების უფროსი.

4. სამსახურის განყოფილება შედგება განყოფილების უფროსისა და განყოფილების მოხელეებისაგან.

5. განყოფილების საქმიანობას წარმართავს განყოფილების უფროსი, რომლის უფლებამოსილებები განისაზღვრება მერიის დებულების მე-12 მუხლით და შესაბამის სამუშაოთა აღწერილობით. განყოფილების უფროსის არყოფნის შემთხვევაში სამსახურის უფროსის ბრძანებით, განყოფილების უფროსის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს განყოფილების ერთ-ერთი მოხელე.

6. განყოფილების მოხელეების უფლება-მოვალეობები განისაზღვრება მერიის დებულების მე-16 მუხლით. განყოფილების მოხელეების ფუნქციები განისაზღვრება შესაბამისი სამუშაოთა აღწერილობებით.

7. სამსახურის მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლებისა და სამსახურებრივი კარიერის გავლის წესები განისაზღვრება მერიის დებულებით, ,, საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად.

2.დებულების მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,მუხლი 6. მეორადი სტრუქტურული ერთეული-საქმისწარმოების და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება:

1)სამსახურის საქმისწარმოების და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) შემოსული და ადგილზე შექმნილი დოკუმენტების აღრიცხვას;

ბ) შემოსული კორესპონდეციის რეგისტრაციასა და ინდექსაციას;

გ) დოკუმენტების გადაცემას შემსრულებლისათვის;

დ) დავალებების სათანადოდ გაფორმებას;

ე) დოკუმენტების შესრულების კონტროლს და შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადებას;

ვ) გასული დოკუმენტების გაგზავნას;

ზ) საქმეთა მომზადებას არქივისათვის ჩასაბარებლად;

თ) საქმეთა ნომენკლატურის შედგენას;

ი) ადმინისტრაციული წარმოების წესებისა და პროცედურების დაცვას;

კ) თვითმმართველობის მოხელეთათვის საქმისწარმოების წესის გაცნობას და კონტროლს მათ დაცვაზე;

ლ) საქმისწარმოებაში ბეჭდების , შტამპების , ბლანკების სათანადო გამოყენებას;

მ) ელექტრონულად დოკუმენტების მიღებას, გაგზავნას და შედგენას; გამართულ ელექტრონულ კომუნიკაციას სახელმწიფო ორგანოებთან.

ნ) ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვას;

ო) მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის ადმინისტრირებას;

პ)ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის საჯაროობას; საჯარო ინფორმაციის რეესტრის წარმოებას, საჯარო ინფორმაციის პროაქტიული წესით გამოქვეყნებას;

ჟ) მოქალაქეთა მისაღების მეშვეობით ,,ერთი ფანჯრის ‘’ პრინციპის დაცვით მოქალაქეთა საინფორმაციო მომსახურეობას;

რ) ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირების პრესკონფერენციების ჩატარების ორგანიზებას , ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის შესახებ ყოველთვიურ პრეს-დაიჯესტის მომზადებასა და გამოქვეყნებას; მათ ურთიერთობას მასობრივ საინფორმაციო საშუალებებთან;

ს) მუნიციპალიტეტის საინფორმაციო -საკომუნიკაციო სისტემის ფუნქციონირებას;

ტ) საკრებულოსა და მერიის სამსახურებისათვის საჭირო ინფორმაციის მოძიებასა და სელექციას;

უ) მერიის სამართლებრივი აქტებისა და მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას მოქალაქეთათვის.

ფ) მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას:

2. დებულების მე-7 მუხლი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

შენიშვნა დადგენილების პროექტთან დაკავშირებით არ ყოფილა.

დადგენილების პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა რია კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგით: მომხრე -13

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 აგვისტოს N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. მოისმინეს: იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 ნოემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე:

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შიდა აუდიტის კონტროლის განყოფილებას ემატება ინსპექტირება.კერძოდ:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ,,შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29-ნოემბრის N-23 დადგენილებაში და დადგენილების მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 9. შიდა აუდიტის კონტროლისა და ინსპექტირების განყოფილება

1. შიდა აუდიტის განყოფილება ახორციელებს სამსახურის სტრატეგიული და წლიური გეგმებით გათვალისწინებულ შიდა აუდიტორულ შემოწმებას, ადგენს და სამსახურის უფროსს

დასამტკიცებლად წარუდგენს შესაბამის ანგარიშებს, ახორციელებს წინა აუდიტორული შემოწმების პერიოდში ობიექტისათვის მიცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს. ამ მიზნით განყოფილება უფლებამოსილია განახორციელოს:

ა) მერიის სისტემაში მიმდინარე ყველა პროცესისა და საქმიანობის სფეროს აუდიტორული შემოწმება;

ბ) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შემოწმება;

გ) ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტისა და სისრულის შეფასება;

დ) მერიის სისტემაში დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურეობრივი კონტროლი, მერიის სისტემაში საჯარო მოხელეთა/თანამშრომელთა მიერ სამსახურეობრივი გადაცდომის ფაქტების და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა გამოვლენა, აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადების და საჩივრის შესწავლა, შესაბამისი რეაგირება. მოხელეთა მიმართ დისციპლინური წარმოების განხორციელება ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

ე) მუნიციპალიტეტის მერიის და მის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის საჯაროობისა და გამჭირვალობის უზრუნველყოფა;

ვ) მუნიციპალიტეტის მერიის და მის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ფუნქციონირებისა და მართვის პროცედურების კანონმდებლობასთან შესაბამისობა, ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;

ზ) განყოფილების მიერ გაცემული რეკომენდაციები სავალდებულოა შესასრულებლად და მათი შეუსრულებლობა შესაძლოა განხილულ იქნას დაწესებულების მოსამსახურის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლად;

თ) სხვა საქმიანობები, რომლებიც გამომდინარეობს მუნიციპალიტეტის მერიის და მის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის სპეციფიკიდან, ამ დებულებიდან და არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ'' საქართველოს კანონს, საქართველოს კანონმდებლობას, მერიის დებულებასა და შიდა აუდიტის დამოუკიდებლობის პრინციპებს.

2. განყოფილება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურის უფროსის დავალებათა და კოორდინაციით, მონაწილეობს შიდა აუდიტის სტრატეგიული და წლიური გეგმების, წლიური და სხვა სახის ანგარიშების შემუშავებაში.

3. განყოფილება საქმიანობას ახორციელებს წინამდებარე დებულების, „ სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის, შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის, სტანდარტების და საქართველოს მოქმედი სხვა მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერი.“

მიხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

შენიშვნა დადგენილების პროექტთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგით: მომხრე -13

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი -- ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 ნოემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

3. მოისმინეს: მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსმა სოზარ ბენდელიანმა სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - ,,2026 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 25 დეკემბრის N 29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ადმინისტრაციული სამსახურის დებულებაში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით იცვლება საშტატო სტრუქტურაც. ორი განყოფილება

ეღტიანდება და იქმნება ერთი განყოფილება ,,საქმისწარმოების და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება.

კითხვა დასვა საკრებულოს წევრმა დავით ფურელიანმა - აღნიშნული ცვლილების შედეგად თუ იცვლება საშტატო რიცხოვნება?

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რო გამონთავისუფლებული განყოფილების ხარჯზე ახალ განყოფილებას დაემატება მთავარი სპეციალისტის შტატი.

კითხვა დასვა სხდომის თავმჯდომარემ დავით პირველმა - რამდენი ვაკანსია იქნება სულ?

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სულ იქნება 12 (თორმეტი) ვაკანსია.

შენიშვნა დადგენილების პროექტთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგით: მომხრე -13

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი - ,,2026 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 25 დეკემბრის N 29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დამთავრდა 11 საათსა და 30 წუთზე.

დავითი პირველი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი